

# შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი № 1                    “ 27 “ თებერვალი    2012წელი ბრძ.№  
01-01/07                    “ 27“ თებერვალი 2012        წელი

რექტორი                    გიორგი                    მათიაშვილი

შეტანილი ცვლილება:

1. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84 – (უნივერსიტეტის სახელწოდების ცვლილება)

სამეცნიერო ნაშრომში დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის  
მითითების წესი

თბილისი

1. დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის სია განთავსებულია ნაშრომის ბოლოს; ავტორთა გვარების მიხედვით გაწყობილია ანბანურად (ჯერ ქართული, შემდეგ უცხოური) და დანომრილია თანმიმდევრობით.

**ნიმუში:**

**1. მონოგრაფია**

აბაშიძე, ა. (2011). დავით აღმაშენებელი. თბილისი: უნივერსალი.

**2. სამეცნიერო სტატია**

ბარამიძე, გ. (2011). დავითის ისტორიკოსის ვინაობისათვის. გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, (1), 110–119.

**3. რამდენიმე ავტორის მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი**

გიორგაძე, ა., კანდელაკი, გ., ჯანელიძე, თ. (2011). დიდგორის ბრძოლა. ანალები, (9), 120–140.

4. ....

5. ....

ა. შ.

21. Адонц, Н. Н.....

22. Bengston, A. N.....

**შენიშვნა:**

- ერთი და იგივე ავტორის რამდენიმე ნაშრომის გამოყენებისას, თანმიმდევრობა დაიცავით მათი გამოქვეყნების თარიღების მიხედვით;
- თუ ციტირებისას (მაგ., ვებ გვერდი) პუბლიკაციის თარიღი ხელმისაწვდომი არ არის, გამოიყენეთ შემოკლება: n.d. (no date).
- ნაშრომი სასურველია:

ა) დაიბეჭდოს 10–12 ზომის Sylfaen შრიფტით; ყველა მხრიდან 1,5-2,5 სმ. არეს და 1–1,5 ინტერვალის დაცვით.

ბ) შედგებოდეს 4 ძირითადი ნაწილისაგან (სათაურის გვერდი, რეზიუმე, ძირითადი ტექსტი, დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის სია).

2. სათაურის გვერდი მოიცავს: ნაშრომის სათაურს, ავტორის ვინაობას – სახელი, გვარი (სამეცნიერო წოდებებსა და ხარისხებს ნუ მიუთითებთ) და სასწავლო– სამეცნიერო დაწესებულების დასახელებას.

3. ტექსტში ციტირებისას დაიცავით შემდეგი წესი:

ა) ავტორის გვარი, დამოწმებული ნაშრომის გამოქვეყნების თარიღი, გვერდი. **მაგ., აბაშიძე, 2011, 15);**

ბ) თუ ავტორს ერთ წელს რამდენიმე ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, მიუთითეთ ავტორის გვარი, დამოწმებული ნაშრომის გამოქვეყნების თარიღი, ნაშრომის სათაურის პირველი სიტყვა, გვერდი.

**მაგ., (აბაშიძე, 2011, მასალები..., 15);**

გ) წყაროს ან ნაშრომის პერიფრაზირების / რეზიუმირების ფორმით დამოწმებისას, მიუთითეთ ავტორის გვარი, ნაშრომის გამოქვეყნების თარიღი.

**მაგ., (აბაშიძე, 2011).**

**შეტანილი ცვლილება:**

1. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84 – (უნივერსიტეტის სახელწოდების ცვლილება)